

ოქმი

ქ. თბილისი

12.09.2025 წელი

დღის წესრიგი:

1. კრების თავმჯდომარის არჩევა.
2. შპს-ს იმედი (შემდგომში -საზოგადოება) 2025 წლის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების შესახებ.

კრებას ესწრებოდნენ: საზოგადოების დამფუძნებელი პარტნიორები: .

1. მამუკა კოპაძე, 3/ნ 01020004567 ;
2. იმედა აფციაური, 3/ნ 01019009982;

კრების თავმჯდომარედ იქნა არჩეული იმედა აფციაური.

შპს იმედი-ს 2024 წლის ფინანსური ანგარიში კრებას წარუდგინა საზოგადოების ხელმძღვანელმა მამუკა კოპაძემ. აღნიშნა, რომ 2024 წელი საზოგადოებამ წარმატებით დაასრულა. ამონაგებმა საოპერაციო საქმიანობიდან მიიღწია თითქმის წინა წლის დონეს და შეადგინა 2 884 157 ლარი. მნიშვნელოვანია ის, რომ ამონაგების სტრუქტურაში მომსახურების წილი საქონლის გაყიდვიდან ამონაგებთან შედარებით, ერთ წელიწადში გაიზარდა 42% - დან 64,8 % - მდე. საზოგადოების საოპერაციო მოგებამ 2024 წელს შეადგინა 386 657 ლარი.

პოზიტიურ ფაქტორად უნდა ჩაითვალოს ის, რომ საზოგადოებამ 2024 წელს სასესხო ვალდებულება არ აუღია (2023 წელს მისი მოცულობა შეადგენდა 1 479 170 ლარს), ხოლო სესხის ძირი თანხის გადახდის მოცულობამ 318 391 ლარი შეადგინა ანუ 2023 წელთან შედარებით 3,5 ჯერ მეტი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საზოგადოების საქმიანობის შესახებ დაწერილებითი პარამეტრები მოცემულია სამიანობის შედეგების, ფინანსური მდგომარეობისა და ფინანსური სახსრების მოძრაობის ცხრილებში.

კრებაზე დაფიქსირდა, რომ საზოგადოება არის ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მე-3 კატეგორიის სტატუსის მქონე საწარმო და ვალდებულია განახორციელოს კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურები. ხელმძღვანელობამ მიიღო შესაბამისი ზომები, მოაწადა საზოგადოების 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდის ფინანსური ანგარიშგება ცხრილების სახით, ასევე ტექსტის ფორმით (თან ერთვის). დამფუძნებლის წინაშე მომხსენებელმა წამოაყენა წინადადება, - კრებამ განიხილოს და დამტკიცოს საზოგადოების 2024 წლის ფინანსური ანგარიშგება.

კრებამ განიხილა წარმოდგენილი, საზოგადოების 2024 წლის ფინანსური ანგარიშგება და მიიღო გადაწყვეტილება:

1. ცნობად იქნას მიღებული საზოგადოების ხელმძღვანელის, მამუკა კოპაძის მოხსენება 2024 წლის ფინანსური ანგარიშგების შესახებ;
2. მოწონებულ იქნას და დამტკიცდეს საზოგადოების 2024 წლის ფინანსური ანგარიშგება;
3. დაევალოს საზოგადოების ხელმძღვანელს, უზრუნველყოს დამტკიცებული, საზოგადოების 2024 წლის ფინანსური ანგარიშგების წარდგენა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურში, დადგენილ ვადაში.

კრების თავმჯდომარე, დამფუძნებელი პარტნიორი

იმედა აფციაური

საზოგადოების მიერ გაწეული საოპერაციო ხარჯების მოცულობა და სტრუქტურა. გრძელვადიანი ვალდებულებები საზოგადოებაში არ ფიქსირდება.

მოგება/ზარალი

საანგარიშგებო წელს საზოგადოების საოპერაციო მოგებამ შეადგინა 386 657 ლარი.

ანგარიშგების შემდგომი მოვლენები

ფინანსური ანგარიშგების თარიღამდე მომხდარი და შემდგომი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა საზოგადოების ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახა ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებებში.

პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ არის ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში, ვინაიდან მოსალოდნელი არაა ეკონომიკური სარგებლის გასვლა საზოგადოებიდან და შესაძლებელია ვალდებულებების საიმედოდ შეფასება.

ფინანსურ ანგარიშგებაში ასევე არ არის ასახული პირობითი აქტივები. ამ სახის ეკონომიკური სარგებლის შემოსვლის შესაძლებლობა საზოგადოებაში არ ფიქსირდება.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

შპს იმედი-ს მიერ ფორმირებული 2024 წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და წარსადგენად ნებადართულია. საზოგადოების დამფუძნებელი პარტნიორების 2025 წლის 12 სექტემბრის დამფუძნებელთა კრების საოქმო გადაწყვეტილებით.

საზოგადოების 2024 წლის ფინანსური ანგარიშგების დასასრული.

შპს იმედი-ს
ხელმძღვანელი:

მამუკა კოპაძე



ფინანსური ანგარიშგების წარდგენის დროს გამოყენებულია სააღრიცხვო პოლიტიკის პირველადი შეფასების საფუძველი. ცვლილებები საზოგადოების სააღრიცხვო პოლიტიკაში და სააღრიცხვო შეფასებებში არ მომხდარა.

აქტივები

აქტივის თვითღირებულებაა გარიგების ფასი აქტივის შესყიდვის დროს გადახდილი თანხა. თვითღირებულება მოიცავს ასევე ამ აქტივის შემენასთან პირდაპირ დაკავშირებულ სხვა ხარჯებს. აღიარება ხდება შესყიდვის დოკუმენტების, ანგარიშ-ფაქტურების, მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საზოგადოების აქტივების მოცულობამ შეადგინა 2161942 ლარი.

აქტივების ფორმირებაში უდიდესი წილი 62 % მოდის ძირითადი საშუალებების ღირებულებაზე - 1 336 183 ლარი, რომელიც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს აღემატება 2,5 ჯერ.

საზოგადოების ძირითადი საშუალებების აღიარება ხდება თავდაპირველი თვითღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდგომ აქტივების ხელახალი შეფასება საზოგადოებაში არ განხორციელებულა, მათი ხელახალი შეფასების პრაქტიკული საჭიროება, საანგარიშო პერიოდში არ არსებობდა.

ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების მოცულობამ 2024 წლის ბოლოსთვის შეადგინა 643 142 ლარი.

ფულადი სახსრები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს საბანკო ანგარიშებზე. საანგარიშგებო წელი არ ხასიათდებოდა ცვლილების არსებითი რისკით და საზოგადოების ფინანსური ანგარიშგების შედგენაზე, გაუთვალისწინებელ ფაქტორებს გავლენა არ მოუხდენია.

საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები 2024 წელს, წინა წელთან შედარებით შემცირდა 394 591 ლარით. აღნიშნული დინამიკა განაპირობა ძირითადად, გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებების შემცირებამ 251 578 ლარით, ასევე გაუნაწილებელი მოგების კლებამ 211 703 ლარით.

შემოსავალი

ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება დაუყოვნებლივ მის მიღებაზე გაწეული ხარჯების პროპორციულად. საზოგადოებაში შემოსავლის ფორმირება მოხდა მომსახურების გაწევისა და საქონლის გაყიდვის ხარჯზე და ემთხვევა ამონაგების მოცულობას. ამონაგებმა საოპერაციო საქმიანობიდან მიაღწია თითქმის წინა წლის დონეს და შეადგინა 2 884 157 ლარი. მნიშვნელოვანია ის, რომ ამონაგების სტრუქტურაში მომსახურების წილი საქონლის გაყიდვიდან ამონაგებთან შედარებით, ერთ წელიწადში გაიზარდა 42% - დან 64,8 % - მდე.

პოზიტიურ ფაქტორად უნდა ჩაითვალოს ის, რომ საზოგადოებას 2024 წელს სასესხო ვალდებულება არ აუღია (2023 წელს მისი მოცულობა შეადგენდა 1 479 170 ლარს), ხოლო სესხის ძირი თანხის გადახდის მოცულობამ 318 391 ლარი შეადგინა ანუ 2023 წელთან შედარებით 3,5 ჯერ მეტი.

ხარჯები

2024 წელს წინა წელთან შედარებით საოპერაციო ხარჯები გაიზარდა 271 832 ლარით, მთლიანად ამ მუხლის მიხედვით ხარჯმა შეადგინა 1 569 804 ლარი. წინა წელთან მიმართებაში 2024 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა ხარჯი ხელფასზე - 306 459 ლარით; შემცირდა საწვავის ხარჯი - 68 720 ლარით; ტრანსპორტირებისა და გადაცემის ხარჯი - 154438 ლარით.

ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდის საფუძველზე საქონლის მიწოდებისა და მომსახურების გაწევის მომენტისათვის. წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია

შპს იმედი

ფულადი სახსრების მოძრაობა (საანგარიშგებო პერიოდი-2024 წელი)

ლარი

შინაარსი	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 2024 წელი	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 2023 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლისგან მიღებული ფულადი სახსრები	2884157	2984906
მომწოდებლებსა და დასაქმებულ პირებზე გაცემული ფულადი სახსრები	2496230	2316635
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	387927	668271
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები		
სატრანსპორტო საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული და სხვა არასაოპერაციო შემოსავლები		93822
ძირითადი საშუალების შეძენა	972458	
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
შემოსულობანი გრძელვადიანი სესხებიდან		1479170
სესხის ძირი თანხის გადახდა	318391	91752
მოგების გადასახადი	67058	177265
დამფუძნებელთა მოთხოვნის (დივიდენდის) ხარჯი	380000	1004500
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	765449	205653
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	-1349980	967746
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1993122	1025376
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	643142	1993122

განმარტებითი შენიშვნები

სააღრიცხვო პოლიტიკის საფუძველი

საზოგადოების სააღრიცხვო პოლიტიკის საფუძველია ბასს-ის ძირითადი დაშვებები - დარიცხვის მეთოდი და ფუნქციონირებადი საწარმო. საზოგადოების ხელმძღვანელობას აქვს შემუშავებული და იყენებს ისეთ სააღრიცხვო პოლიტიკას, რომლის საფუძველზე მიღებული ინფორმაცია სამართლიანად ასახავს საწარმოს საქმიანობის შინაარსს, ეკონომიკურ მოვლენებს და ობიექტურია.

შპს იმედი

ფინანსური მდგომარეობა (საანგარიშგებო პერიოდი - 2024 წელი)

ლარი

შინაარსი	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 2024 წელი	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 2023 წელი	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 2022 წელი
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	643142	1993122	1025376
მ.შ. ბანკი		1005939	
მ.შ. სალარო		513952	
კაპიტალი (გაუნაღდებელი ნაწილი)	98556	473231	
სავაჭრო მოთხოვნები (დებიტორული დავალიანებები)	81390	30721	57630
სხვა	2671	5957	6822
ძირითადი საშუალებები	1336183	526733	694349
სულ აქტივები	2161942	2556533	1784177
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	37000	75844	158123
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	34649	34649	34649
საგადასახადო ვალდებულებები	44486	28536	27290
სხვა ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	1607304	1858882	472578
სულ ვალდებულებები	1723439	1997911	692640
საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი	558621	1091537	908267
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	259882	471585	267480
კაპიტალის შემცირება დამფუძნებელთა მოთხოვნის ხარჯზე	380000	1004500	84210
სულ საკუთარი კაპიტალი	438503	558621	1091537
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2161942	2556533	1784177

შპს იმედი

საქმიანობის შედეგები (საანგარიშგებო პერიოდი - 2024 წელი) ლარი

შინაარსი	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 2024 წელი	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 2023 წელი
ამონაგები	2884157	2984906
მათ შორის		
საქონლის გაყიდვიდან	1015572	1731055
მომსახურების გაწვიდან	1868585	1253851
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	927696	1118229
საერთო მოგება	1956461	1946822
საწვავის ხარჯი	334952	403672
ხელფასი	589969	283510
სესხის პროცენტი	142321	28497
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	3348	2927
იჯარის ხარჯი	30508	30508
ტრანსპორტირებისა და გადაცემის ხარჯი	204807	359245
საპენსიო ანარიცხები	24080	
დაზღვევა	2300	
ცვთა და ამორტიზაცია	163608	99566
ქონების გადასახადი	9310	5764
დამატებული ხარჯი (რემონტი და სამეურნეო ხარჯი)	64601	84282
საოპერაციო ხარჯი, სულ	1569804	1297972
საოპერაციო მოგება (ზარალი)	386657	568705
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი		648850
არასაოპერაციო შემოსავალი	7131	80145
მათ შორის		
საკურსო სხვაობიდან მიღებული შემოსავალი (ხარჯი)	66848	4075
სატვირთო გადაზიდვების ავტომატური რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი		76070
არასაოპერაციო ხარჯები		
ხარჯად აღიარებული ჯარიმები და მანქანის რეალიზაციიდან მიღებული ზარალი		
ხარჯები, სულ	2564348	2416201
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	319809	648850
მოგების გადასახადი	67058	177265
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	259882	471585

რომელიც გულისმობს, რომ საზოგადოება განაგრძობს უწყვეტად ფუნქციონირებას განუსაზღვრელი დროით მომავალში.

ხელმძღვანელობას განზრახული არა აქვს საწარმოს ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა და დამფუძნებლებს აქვთ სურვილი განაგრძონ, გააფართოვონ საზოგადოების მუშაობა.

საზოგადოების 2024 წლის ფინანსური ანგარიშგების საშუალო ცხრილები და წინასაანგარიშგებო 2022-2023 წლების შესადარისი მაჩვენებლები მოცემულია ცხრილებში:

კერძოდ:

- საქმიანობის შედეგების ცხრილი;
- ფინანსური მდგომარეობის ცხრილი;
- ფულადი ახსრების მოძრაობის ცხრილი;

ზოგადი ინფორმაცია

საწარმოს სამართლებრივი ფორმა - შეზღუდული პასუხისმგებლობი საზოგადოება - შპს „იმედი“ ს/ნ 400053749 (შემდგომში - საზოგადოება),

საგადასახადო რეგისტრაციის თარიღი - 2012 წლის 6 ივლისი; დღგ-ს გადამხდელია 2012 წლის 6 ივლისიდან.

საზოგადოების იურიდიული მისამართი - ქ. თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, ა.სუმბათაშვილ-იუენის ქ.#60 ფაქტობრივი მისამართი - ქ. თბილისი, ევგენი ხარაძის ქ.#6

საზოგადოების დამფუძნებელი პარტნიორები არიან და მათი წილები საწესდებო კაპიტალში შეადგენს:

1. მამუკა კოპაძე	3/5	01020004567	-50%
2. იმედა აფციაური	3/5	01019009982	-50%

საზოგადოება სხვა საწარმოების საწესდებო კაპიტალში წილებს არ ფლობს.

საზოგადოების ხელმძღვანელია - მამუკა კოპაძე. თანამშრომელთა რაოდენობა შეადგენს 17 კაცს;

საზოგადოება თავის საქმიანობას ახორციელებს; სატვირთო გადაზიდვებს სატვირთო საგზაო ტრანსპორტით; სპეციალიზებულ სამშენებლო სამუშაოებს და სხვა.

საზოგადოება არის მესამე კატეგორიის საწარმო. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების თარიღია 2024 წლის 31 დეკემბერი, ფინანსური ანგარიშგებით მოცული პერიოდი - 2024 წელი.

ზოგადი დებულებები

საზოგადოება თვლის, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენით უზრუნველყოფს მისი საქმიანობის ფინანსური შედეგების შესახებ ისეთი ინფორმაციის მიწოდებას, რომელიც სასარგებლო იქნება დაინტერესებული პირებისთვის ეკონომიკური გადაწყვეტილებების მისაღებად, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველია:

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტი (მსს ფასს);
დარიცხვის მეთოდი;

ფინანსური ანგარიშგების ფორმირება, ასევე ახსნა-განმარტებით შენიშვნებში აქტივებისა და ვალდებულებების შესახებ ინფორმაციის დაფიქსირება ხდება ანგარიშგების წარდგენის თარიღისთვის.

წარდგენის ვალუტა

საზოგადოება აღრიცხვას აწარმოებს ქართულ ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

ეკონომიკური შინაარსის და საქმიანობის შესაბამისად, ქართული ვალუტა აღიარებულია როგორც შეფასების ვალუტა.

საქმიანობის უწყვეტობა

წარდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისეთი დაშვების საფუძველზე,

შპს იმედი

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის
ფინანსური ანგარიშგება

თბილისი 2025 წელი